ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #4

2022 წელი 25 იანვარი 12 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, გ.ტყემალაძე,
ა.ხუჯაძე, მ.ზაქარიაშვილი
გ.შარაშიძე, ა.რატიშვილი,
ბ.ჯიმელი სულაშვილი, ც.კობერიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის,კომისიების წევრები.

სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანი.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარის მ/შ ნინო რუხაძე

სხდომის თავმჯდომარე ნ.რუხაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. "თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

კომისიების წევრებმა თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის "თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულებაზე საკრებულოს თანხმობის მიღების საკითხი განიხილეს. პროექტი სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ დავით ჯაიანმა წარადგინა.

2019 წლის 29 ნოემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის დაიდო სასესხო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, EBRD დათანხმდა თბილისის მუნიციპალიტეტისათვის 80,000,000 (ოთხმოცი მილიონი) ევროს ოდენობით სესხის გამოყოფაზე, თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსები) რეფორმის მხარდასაჭერად.

პროექტის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა, ახალი სამარშრუტო ქსელის შესაბამისად, შეიძინა 226 ერთეული ეკო-მეგობრული, კომპრესირებულ ბუნებრივ გაზზე მომუშავე ავტობუსები.

ამის შემდგომ, თბილისის მუნიციპალიტეტმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს სთხოვა გარკვეული ტექნიკური დახმარების ღონისძიებების დაფინანსება პროექტის მხარდასაჭერად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი თბილისის მუნიციპალიტეტს გადასცემს 240,000.00 ევრომდე ოდენობის თანხას გრანტის სახით EBRD-ის აქციონერთა სპეციალური ფონდიდან. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი თანხმობას აცხადებს, რომ შეარჩევს და დაიქირავებს კონსულტანტს, რომელიც ტექნიკურ დახმარებას გაუწევს თბილისის მუნიციპალიტეტს („საკონსულტაციო მომსახურება").

საგრანტო ხელშეკრულების მიზანია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენა ახალი სამარშრუტო ქსელის დანერგვისა და რეფორმის სხვა კომპონენტების მიმართულებით. კერძოდ, ქალაქში ავტობუსების მომსახურების რეფორმების განხორციელება, რაც მოიცავს ავტობუსების მარშრუტების რესტრუქტურიზაციასა და გაფართოებას, სატარიფო სისტემის

რეფორმას, მგზავრობის საფასურის გადახდის ინტეგრირებული ავტომატური სისტემის („AFC“) დანერგვას და ქალაქის პოტენციალის გაზრდას მომსახურების დაგეგმვისა და ახალი საჯარო სერვისების ხელშეკრულებების მართვისა და მონიტორინგის კუთხით, რაც ქალაქს საშუალებას მისცემს მიაღწიოს მისაღებ უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით სტანდარტებს.

კომისიამ იმსჯელა ზემოაღმიშნულ საკითხზე. დაისვა რიგი შეკითხვები, რომლებსაც სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ დავით ჯაიანმა ამომწურავი პასუხი გასცა.

კომისიას მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032202162-03; 21.01.2022) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

ნ.რუხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ნ.რუხაძე